



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის მიხედვით 2025 წლის მე-3 კვარტალში საქართველოს ეკონომიკა 6.4%-ით გაიზარდა, რაც 0.1პპ-ით ნაკლებია წინასწარ მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული კორექციის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკა 2025 წლის იანვარ-ოქტომბერში 7.6%-ით გაიზარდა.

სექტორულ ჭრილში, მესამე კვარტალის წლიურ ზრდაში მალალი დადებითი კონტრიბუცია შეიტანეს შემდეგმა დარგებმა: ინფორმაცია და კომუნიკაცია (+21.1%), განათლება (+20.7%), საფინანსო საქმიანობა (+14.7%), სახელმწიფო მმართველობა (+9.7%), ტრანსპორტი (+8.1%), ხელოვნება, გართობა (+13.0%), ვაჭრობა (+3.0%) და სასტუმროები და რესტორნები (+8.4%). ამასთან, აღნიშნულ პერიოდში, წლიური კლება დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის (-5.4%), სამთომომპოვებითი მრეწველობის (-8.7%) და ელექტროენერგიის მიწოდების (-3.3%) დარგებში.

ჩვენი პროგნოზით საქართველოს ეკონომიკა 7.5%-ით გაიზრდება 2025 წელს, ხოლო 6.0%-ით 2026 წელს (იხ. 2026 წლის ეკონომიკური მოლოდინები აქ).

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2025 წლის ნოემბერში საქონლის ექსპორტის წლიური ზრდა 44.2%-მდე დაჩქარდა და თვის ჭრილში რეკორდული 782.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 0.4%-იანი ზრდის შემდეგ. საქონლის იმპორტი წლიურად 1.2%-ით შემცირდა 1.5 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვის მცირედი 0.1%-იანი ზრდის შემდეგ. შედეგად, ნოემბერში სავაჭრო დეფიციტი წლიურად 27.6%-ით შემცირდა 675.3 მლნ აშშ დოლარამდე.

2025 წლის ნოემბერში მანქანები (+53.1% წ/წ), ძვირფასი ლითონები (+231.8% წ/წ), ნავთობი (+\$37.0 მლნ წ/წ), ფეროშენადნობები (+430.1% წ/წ) და თხილი (+89.9% წ/წ) იყო ტოპ-5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 15.0% ევროკავშირზე მოდიოდა (+117.9% წ/წ), 67.2% დსთ-ზე (+33.6% წ/წ) და 17.9% სხვა ქვეყნებზე (+46.3% წ/წ).

2025 წლის ნოემბერში ტოპ-5 იმპორტირებული საქონელი იყო მანქანები (-17.5% წ/წ), ნავთობი (+37.0% წ/წ), მედიკამენტები (-1.1% წ/წ), გაზი (-20.3% წ/წ) და ტელეფონები (+6.5% წ/წ).

ჯამურად, 2025 წლის იანვარ-ნოემბერში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 8.7%-ით გაიზარდა და 10.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 10.1%-ით გაიზარდა 6.6 მლნ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 9.3%-ით გაიზარდა და 16.6 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

ფულადი გზავნილები: სებ-ის მიხედვით, 2025 წლის ნოემბერში ფულადი გზავნილები წლიურად 11.9%-ით გაიზარდა 298.4 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვის წლიური 13.4%-იანი ზრდის შემდეგ. ძირითადი დონორი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების წლიური ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირიდან (+14.5%, მთლიანის 47.0%), რუსეთიდან (+29.3%, მთლიანის 12.9%), აშშ-დან (+15.5%, მთლიანის 19.4%), ისრაელიდან (+9.8%, მთლიანის 7.9%) და თურქეთიდან (+10.1% წ/წ, მთლიანის 3.1%). ამასთან, ნოემბერში ფულადი გზავნილები წლიურად შემცირდა ყაზახეთიდან (-21.7%, მთლიანის 2.1%). ჯამურად, 2025 წლის იანვარ-ნოემბერში ფულადი გზავნილები წლიურად 7.6%-ით გაიზარდა და 3.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მონეტარული პოლიტიკა: სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მალალი გაურკვევლობის პირობებში ფრთხილი პოლიტიკა შეინარჩუნა და 2025 წლის 17 დეკემბერს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 8.0%-ზე დატოვა. რეგულატორი აღნიშნავს, რომ ის მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაციას მხოლოდ მას შემდეგ გააგრძელებს, რაც მიმდინარე ერთჯერადი ფაქტორები ამოიწურება და ინფლაცია სამიზნე დონეს დაუახლოვდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2026 წლის 11 თებერვალს ჩატარდება.

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.


ეკონომიკური ინდიკატორები

	2025E	2026F
რეალური მშპ-ს ზრდა	7.5%	6.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	31,516	34,875
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	10,265	11,387
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია (საშუალო)	3.9%	3.0%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	6.0	6.5
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.0%	4.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.5%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	34.5%	33.5%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი


*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

ნომინალური მშპ და რეალური ზრდა



წყარო: საქსტატი

საქონლის ექსპორტი



წყარო: საქსტატი



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2025 წლის 15 დეკემბერს 8.6-წლიანი 60 მლნ ლარის (22.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.9-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0573პ-ით გაიზარდა და 9.846% შეადგინა.

უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2025 წლის 23 დეკემბერს, სადაც 5.6-წლიანი 65 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ობლიგაციები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2025 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	ვალის ნაშთი მლნ ლარი*
1 წლამდე	570	0	360
1 წელზე მეტი	2,294	65	10,799
სულ	2,864	65	11,159

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


* 2025 წლის ნოემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სტბ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სტბ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სტბ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები Fitch/S&P/Moody	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB-/BB-/Ba2	99.09	5.55	186.51
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/	94.31	6.52	318.96
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/B2	104.43	8.78	467.79
GEBGG 11/28	GEL	450	11.500%	Nov-25	Nov-28	-/B2	100.30	11.37	n/a
SILKRDH 09/30	USD	400	7.500%	Sep-25	Sep-30	BB-/B1	100.78	7.29	387.26
TBC 8.894 PERP	USD	75	8.894%	Nov-21	n/a	B-/	100.63	8.14	475.28
TBC 10 1/4 PERP	USD	300	10.250%	Apr-24	n/a	-/B2	105.95	9.01	486.43
CGEOLN 07/29	USD	300	8.875%	Jul-24	Jul-29	BB-/BB-/	105.94	6.96	229.14

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები Fitch/S&P/Moody/Scope	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Geo. Renewable Power Oper.	USD	73	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	100.00	7.00%
Georgia Capital	USD	50	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.08	8.13%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/BB-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	3.3	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/BB-	n/a	8.63%
IG Development	USD	19.5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	5	8.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-	n/a	8.75%
JSC BasisBank	USD	20	7.00%	Aug-24	Aug-27	-/-/-	n/a	7.00%
Georgia Real Estate	USD	25	8.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-	n/a	8.50%
Chavchavadze 64B	USD	10	8.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-	n/a	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.25%	Dec-24	Dec-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	17.7	8.50%	Apr-25	Apr-27	-/-/-	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10	8.00%	Apr-25	Apr-27	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10	8.00%	Apr-25	Apr-27	-/-/BB-	n/a	n/a
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-25	Jun-27	-/-/-	n/a	n/a
ALMA	USD	30	8.50%	Jul-25	Jul-27	-/-/-	n/a	n/a
Gudauri Lodge	USD	10	8.25%	Oct-25	Oct-27	-/-/-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი



ობლიგაციები

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები Fitch/S&P/Moody/ Scope	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
EUR								
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/-/-	99.60	6.15%
Tegeta Motors	EUR	10	6.75%	May-24	May-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	EUR	3	7.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-/-	n/a	7.75%
Chavchavadze 64B	EUR	3	7.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-/-	n/a	7.75%
ALMA	EUR	8.5	7.25%	Jul-25	Jul-27	-/-/-/-	n/a	n/a
GEL								
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-/B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB/-/-/-	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB/-/-/-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-26	-/-/-/BB-	100.00	12.33%
Tegeta Motors	GEL	10	13.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	15	13.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-/BB-	100.00	13.50%
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.25%	Oct-24	Oct-29	-/-/-/BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.25%	Dec-24	Dec-26	-/-/-/B+	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.00%	Apr-25	Apr-27	-/-/-/B+	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.50%	Jul-25	Jul-30	-/-/-/BB-	n/a	n/a
Georgian Healthcare Group	GEL	350	TIBR + 3.75%	Sep-25	Sep-30	-/-/-/BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	60	TIBR3M + 3.50%	Sep-25	Sep-30	-/-/-/BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.00%	Oct-25	Oct-27	-/-/-/B+	n/a	n/a

გალტ & ტაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & ტაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg


ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტი & თაგარტი

საჯარო

ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი




წყარო: გალტი & თაგარტი



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

Lion Finance Group-ის (BGEO LN)

აქციები დაიხურა 92.50 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.09% წინა კვირასთან შედარებით და +19.12% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 449 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 91.05 - 93.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 59 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 40.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.00% წინა კვირასთან შედარებით და +9.34% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 378 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 39.60 - 41.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 80 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 30.20 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.34% წინა კვირასთან შედარებით და +21.29% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 310 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 29.70 - 30.55 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 49 ათასი აქცია შეადგინა.



ბბბბბბ

ბლმბსბვლბთ ბვროკბს ბბნკბბ

	ბბბბრბ	ვბლბბ	ბბბბბს ფბსბ	კბბბბბ ლბბ.	6 ბვბ, ცვლ.	6/6 ცვლ.	ნლბს ღბს.	P/E		P/B	
								2025F	2026F	2025F	2026F
Lion Finance Group	BGEO	GBP	92.50	4,023	41.0%	97.0%	96.4%	6.94x	6.00x	1.73x	1.37x
TBC	TBC	GBP	40.40	2,257	-9.2%	31.4%	29.5%	5.77x	5.07x	na	na
Halyk Bank	HSBK	USD	29.60	8,076	23.1%	63.7%	52.3%	4.25x	4.36x	0.96x	1.15x
Akbank	AKBNK	TRY	71.80	373,360	25.6%	17.4%	10.7%	6.22x	3.48x	1.24x	0.94x
Garanti	GARAN	TRY	142.00	596,400	26.4%	13.9%	14.1%	5.18x	3.47x	1.35x	0.98x
Isbank	ISCTR	TRY	14.02	350,500	24.4%	6.7%	3.5%	4.91x	2.64x	0.87x	0.66x
PKO	PKO	PLN	84.14	105,175	20.1%	39.1%	40.8%	9.89x	10.40x	1.86x	1.79x
PEKAO	PEO	PLN	208.10	54,620	18.8%	47.2%	50.9%	7.62x	9.55x	1.59x	1.51x
Millennium	MIL	PLN	16.53	20,052	24.3%	90.7%	85.7%	6.78x	8.27x	2.22x	1.89x
Mbank	MBK	PLN	1,056.50	44,929	41.8%	91.3%	93.1%	9.93x	10.53x	2.32x	1.95x
BRD	BRD	RON	24.05	16,760	24.6%	30.7%	29.0%	10.75x	10.52x	1.60x	1.52x
Banca Transilvania	TLV	RON	30.14	32,862	15.9%	36.5%	32.7%	9.18x	8.42x	1.95x	1.74x
Komercni	KOMB	CZK	1,156.00	219,697	14.9%	36.1%	36.2%	12.38x	12.64x	1.72x	1.71x
Mean								7.68x	7.33x	1.62x	1.43x
Median								6.94x	8.27x	1.66x	1.52x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ დღგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111

კვლევები: research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)